ოქმი N 1

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2019 წლის 23 იანვარი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დოდო გაბუნია
2. ირაკლი ნადარაია
3. თენგიზ აბაკელია
4. მზია ლემონჯარია
5. აბელ ქირია
6. კახა მიქაბერიძე
7. ავთანდილ ხუნჯუა
8. კონსტანტინე ნასარაია
9. ია ჯიშკარიანი

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. გაბუნია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმა.

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმა.

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: დ. გაბუნია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმა და აღნიშნა, რომ კომისიის სამუშაო გეგმა შემუშავებულია კომისიის დებულებით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში. გამომსვლელი შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე დოდო გაბუნია